პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 51 (9142)
15 მარტი,
შაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VI სპარტაკიადა

მილიონთა სტარტის ფინიში

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის ყველა ეტაპზე ფიზკულტურის 195 ათასი კოლექტივის 69 მილიონზე მეტმა კაცმა იღო მონაწილეობა. ფინალურმა ასპარეზობებმა კრასნოიარსკის ოლ- ის, ალმა-ათისა და მელეუზის (ბა- კირეთი) სპორტულ ბაზებზე 1422 პორტსმენს მოუყარა თავი, მათ ორის 16 სპორტის დამსახურებულ სტატი, 116 საერთაშორისო კლასის პორტის ოსტატი, 473 სპორტის ოს- ტატი იყო. ფინალში ყველას დი- მოელები სჭარბობდნენ — 335, რმიელებს 320 სპორტსმე- ჰყავდათ. კიდევ ერთი საყუ- ადღებო ციფრი — VI სპარტაკია- ის ფინალურ ასპარეზობას 1 მილიონზე მეტი სპორტის მოყვარული დაესწრო.

„ლელო" შეძლებისდაგვარად ოპერატიულად აშუქებდა სპარტაკიადის მსვლელობას.

დღეს გთავაზობთ ასპარეზობის საბოლოო შედეგებს კიდევ ორ სახეობაში — საციგაო სპორტსა და სამთო-სათხილამურო სპორტში.

საციგაო სპორტში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთან შედეგები ასეთია: ერთადგილიანი ციგებით ასპარეზობაში თეიმურაზ გოგლოევი 21-ე ადგილზე გავიდა, დავით ქუმარიტაშვილი — 25-ზე, ცისანა ჯიჩოევა 27-ზე, მარინე ვახტანგიშვილი — 33-ზე.

ორადგილიანი ციგებით ასპარეზობაში ბადრი ჯანგობეგოვმა და ზაზა კურტანიძემ 21-ე შედეგი აჩვენეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა 19 ქულა მოაგროვა და 15 გუნდში მე-12 ადგილზე გავიდა.

სამთო-სათხილამურო ტურნირის საბოლოო შედეგები: პირველ ადგილზეა კამჩატკის ოლქის ნაკრები (742 ქულა), მეორეზე კემეროვოს (646), მესამეზე პერმის (592) გუნდია. საქართველოს ნაკრები 19 ქულით მე-14 ადგილზეა 17 კოლექტივს შორის. ჩვენმა სამთომოთხილამურეებმა მხოლოდ ესტონეთის (18 ქულა), ტაჯიკეთისა (8) და ლატვიის (3) გუნდებს გაუსწრეს.

ექვსნი ფინალში

ქუთაისში მთავრდება საბ- ოთა კავშირის იუნიორ მოკრივეთა -ე ჩემპიონატი. მართალია, პირვე- ობა ჯერ არ დამთავრებულა, მა- რამ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თაისის რინგზე ღირსშესანიშნავ წა- მატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბ- იკის მოკრივეებმა — სამმა უკვე იპოვა ბრინჯაოს მედლები. ექვსი ფინალში გავიდა და ჩემპიონობ- თვის აგრძელებს ბრძოლას, რაც უშინ გამართული ორთაბრძოლე- ის შემდეგ გახდა ცნობილი.

დამაჯერებლად გაიკვალა გზა ფი- ლისაკენ თბილისელმა რუდიკ კა- ჯიანმა (48 კგ, „შრომითი რეზე- ვები"), რომელმაც მეოთხედფინა- ში ყაზახეთის გუნდის წევრს ბორის ტახტიევს სძლია, ნახევარფინალში კი ანდრეი კორნეევი (რსფსრ) დაამარცხა. გადამწყვეტ ბრძოლაში იგი ლენინგრადელ გამზათ ხანბატიროვს შეხვდება.

54 კგ წონით კატეგორიაში ფინალში ქუთაისელი კახა სამხარაძე („სპარტაკი") იბრძოლებს. კახამ მეოთხედფინალში ანდრეი სტეფანოვი (რსფსრ) დაამარცხა, ნახევარფინალში კი სამარყანდელ ჰამლეტ ილიასოვს მოუგო.

57 კგ წონით კატეგორიაში სპეციალისტებს ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტად ქუთაისელი დავით შარვაშიძე მიაჩნდათ, მაგრამ დავითი ნახევარფინალურ შეხვედრაში დაშავდა, მთელი ძალით ვერ იბრძოლა და დამარცხდა ლენინაკანელ აშოტ ავეტისიანთან. მისი ბედი გაიზიარა ზაზა ურეკაძემ (60 კგ „შრომითი რეზერვები", თბილისი) აკოფიანთან (რსფსრ) შეხვედრაში.

შერვაშიძემ და ურეკაძემ ბრინჯაოს მედლები მიიღეს, 71 კგ წონით კატეგორიაში ფინალური ბრძოლები ქართველ მოკრივეთა შორის გაიმართება. ჯამბულათ ყუფარაძემ („ბურევესტნიკი", ქუთაისი) ამის უფლება მოსკოველ იგორ ილიუხინთან ბრძოლაში მოიპოვა, ხოლო ბესო ლურჯიამ („ბურევესტნიკი", თბილისი) ალექსეი დავიდენკოსთან შეხვედრაში. ასე რომ, ამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გახდება.

ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსები აქვს ნიკა სეთურს (96 კგ, თბილისი), რომელიც ორჯერ გამოვიდა რინგზე და ორივეჯერ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ნიკამ ჯერ უკრაინელი ანდრეი ლიტვინოვი დაამარცხა, ნახევარფინალში კი დიდი უპირატესობით სძლია ვიაჩესლავ სედოვს (რსფსრ).

ზემძიმე წონაში (+91 კგ) ფინალში გავიდა, ჭიათურელი სპარტაკ ასანიძე („განთიადი"), რომელმაც ნახევარფინალში უაღრესად ძნელი ბრძოლა მოუგო თბილისელ სამველ ვარტიკიანს. სამველი ბრინჯაოს მედალს მიიღებს.

თამაზ ხარაბაძე,
ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.

„ბაკურიანის პანორამა-86"

ასე ეწოდება საერთაშორისო ტურნირს სამთო-სათხილამურო სპორტში, რომელმაც სტარტი ბაკურიანში აიღო.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ზამთრის სპორტის ამ აღიარებულ ცენტრს კარგა ხანია თოვლი არ წვევია, მაგრამ აი, შეჯიბრების წინ, როგორც იქნა მოთოვა და ასპარეზობის ორგანიზატორებმა, მონაწილეებმა, გულშემატკივრებმაც შვებით ამოისუნთქეს. კოხტა-I-ის მოყინული ტრასა საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და სპეციალისტთა აზრით სავსებით შეეფერებოდა საერთაშორისო სტანდარტებს.

საასპარეზოდ ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საუკეთესო სამთომოთხილამურეები შეიკრიბნენ. მათ შორის არიან ალმა-ათაში (ჩიმბულაკში) ახლახან დამთავრებული სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VI სპარტაკიადის მონაწილეები, გუდაურის გასული წლის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები ლეონიდ მელნიკოვი, ალექსანდრე კოსტრომა, ლუდმილა კიდრინა-რეუსი, ოლგა ლოგინოვა და სხვები. საკმაოდ დიდი ჯგუფი შედგა მასპინძელთა გუნდიდანაც.

პირველ დღეს სპორტსმენებს სპეციალური სლალომის ტრასა (სიგრძე 540 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა —190 მეტრი, 57 და 63 კარი) მასპინძლობდა. სტარტზე 64 ვაჟი გამოვიდა, რომელთაგან შეჯიბრება (ორი ცდა) მხოლოდ 17-მა დაამთავრა.

ჩემპიონობა კიროვსკელმა ა. კოსტრომამ მოიპოვა — 1.49,00 წამი. მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ლ. მელნიკოვი — 1.50,08, მესამე პრიზიორი გახდა ჩეხოსლოვაკიელი მირო კოილარი — 1.50,85. მისი მეგობარი ანტონი ნიკოტანუ (1.51,63) ზემოხსენებული სამეულის გარდა კრასნოიარსკელ ვადიმ იანგოლენკოსაც (1.51,63) ჩამორჩა. სხვათაშორის, იანგოლენკომ პირველ ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა — 55,24.

ქართველ სპორტსმენთაგან მხოლოდ ბაკურიანელმა ნიკო კოზანაშვილმა შეძლო ორივე ტრასის გავლა, თუმცა მისი შედეგი ერთ-ერთი უკანასკნელი იყო.

ქალთა შორის (ტრასის სიგრძე 430 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 150 მეტრი, 52 კარი) იმარჯვა VI სპარტაკიადის ჩემპიონმა ამავე სახეობაში ლარისა ფომიჩოვამ (პეტროპავლოვსკი) — 1.24,08. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ლვოველი ოლგა ლოგინოვა (1.26,13) და ოლგა იუდაკოვა (ჩუსოვაია) — 1.26,79. სტუმართაგან საუკეთესონი იყვნენ ჩეხოსლოვაკიელები ლია კოვაჩევა (1.27,56) და რომანე ტიკალოვა (1.28,14), რომლებიც შესაბამისად მე-4 და მე-5 ადგილებზე გავიდნენ. მასპინძელთაგან ყველაზე კარგად გამოვიდა ინგა მაისურაძე (ბაკურიანი) — 1.45,25.

მომდევნო სტარტი სამთომოთხილამურეებს ექნებათ გიგანტურ სლალომში, შემდეგ კი (18-24 მარტს) საერთაშორისო ტურნირი გუდაურს ეწვევა.

„ლელოს" კორ.

ბაკურიანი.

SOS

გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

კოჯორში ძველი სპორტული მოედნები მშენებლობებმა შთანთქა, ახლის კეთილმოწყობა სამი წელია ჭიანურდება, ძველი სკოლის სპორტული დარბაზი უპატრონოდაა მიტოვებული, ახალგაზრდებს კი სავარჯიშო ადგილი არა აქვთ.

იხ. მე-2 გვ.

თბილისის სპორტის სასახლე უამრავი საინტერესო შეჯიბრების მასპინძელი ყოფილა. აქ ყოველწლიურად სპორტის ბევრ სახეობაში ტარ- ება რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზობები. მა- რამ მშვილდოსანთა შეჯიბრება, რომელიც დღეს უნდა გაიმართოს, ირველი იქნება სასახლის ისტორიაში. სხვათა შორის, თვით შეჯიბრებაც ახალია — პირველად ტარდება თბილისის ღია ჩემპიონატი, რომელშიც ქართველობა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრებიც იასპარეზებენ.

ჩემპიონატის მთავარი მსაჯია ოლიმპიური ჩემპიონი ქეთევან ლოსაბე- იძე. შეჯიბრება 18 საათზე დაიწყება.

გუშინ...

ხანმოკლე შესვენების შემდეგ თბილისსა და ბაქოში განახლდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატი.

თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში ასპარეზობენ: მოსკოვის „ტორპედოს", „მოსკვიჩის", „დინამოს", სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის (ცსკ ვმფ), ლენინგრადის „ბალტიკასა" და თბილისის „დინამოს" წყალბურთელები.

გუშინდელი შეხვედრები თბილისში ასე დამთავრდა: ცსკ ვმფ — „ტორპედო" — 12:10, „მოსკვიჩი" — „დინამო" (მოსკოვი) — 4:11, „დინამო" (თბილისი) — „ბალტიკა" — 9:7.

თბილისი, ჭადრაკის სასახლე. საქართველოს ვაჟთა 46-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). III ტური. ჯანჯღავამ მოუგო სუპატაშვილს, ბოკუჩავამ — კრასენკოვს, ჭიპაშვილმა — ბალათუროვს, უბილავამ — ჩიქოვანს, გიორგაძემ — ეფიმოვს. დაზავდნენ თორია — იოსელიანი, ჩაჩიბაია — ტყებუჩავა.

3 ტურის შემდეგ ელიზბარ უბილავას, გია გიორგაძეს, იგორ ეფიმოვს, ლაშა ჯანჯღავას, გოჩა თორიას (ზუგდიდი) — 2-2 ქულა აქვთ, ნანა იოსელიანს, გია ბალათუროვს, მიხეილ ჭიპაშვილს, მიხეილ კრასენკოვს (ბათუმი) — 1,5-1,5, ალექსანდრე ბოკუჩავას, ზვიად სუპატაშვილს (ქუთაისი), დავით ჩაჩიბაიას (ცხაკაია) — 1-1, იური ჩიქოვანს, გოჩა ტყებუჩავას (ცხაკაია) — 0,5-0,5 (1-1).

პირველი შთაბეჭდილებები

სასტარტო შეხვედრები ცხადყოფენ, რომ ბრძოლა ჩემპიონის სახელისთვის ბოლომდე დაძაბული იქნება, რადგან დღემდე გათამაშებული 21 პარტიიდან მხოლოდ ერთი გადაიდო. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მოჭადრაკეები ახალი, ამას წინათ ფიდე-ს მიერ მიღებული და საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის მიერ მოწონებული რეგლამენტით თამაშობენ, რომლის მიხედვითაც ტური 6 საათს გრძელდება და პარტიის გადადება მხოლოდ მე-60 სვლის შემდეგ შეიძლება. პრაქტიკა გვიჩ-

იხ. მე-4 გვ.

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

ვარჯიში ყველასათვის საჭიროა, მაგრამ...

სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: „თითოეული ადამიანისათვის, და არსებითად საზოგადოებისთვისაც, არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჯანმრთელობა. ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება უპირველესი მნიშვნელობის საქმეა. ჯანმრთელობის პრობლემები ფართო სოციალური პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ. იგი განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა შრომისა და ყოფის პირობებით, კეთილდღეობის დონით. და, რალა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო ჯანმრთელობის დაცვას“.



— ჩვენ ხშირად ვმკურნალობთ და კონსულტაციას ვუწევთ სპორტსმენებს, — თქვა „ლელოს“ კორესპონდენტთან საუბარში ჩვენი რუბრიკის დღევანდელმა სტუმარმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა **ოთარ ღუდუშაურმა**, — თუმცა სულითა და გულით ვუსურვებ ყველას, ჩვენი დახმარება არასოდეს დასჭირვებოდეთ.

● **საინტერესოა, რას ფიქრობენ ტრავმატოლოგები, რა ასაკში ჯობს სპორტში ვარჯიშის დაწყება?**

— მომწონს თქვენი კითხვა. მართლაც, ახლა რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ სპორტში ვარჯიშის დაწყება ყოველთვის შეიძლება. აქ სიფრთხილე გვმართებს. ხშირად ადამიანი რეგულარულ ვარჯიშს 40-50 წლის ასაკში იწყებს, როცა ამისთვის თავისუფალი დრო რჩება. ახლა პენსიონერები? ბევრი მათგანისთვის ლამის შუადღემდე გაჭიანურებული დილის ვარჯიში ერთ-ერთ მთავარ გატაცებად იქცა. ვიღაცამ სადღაც ყური მოჰკრა, საჭიროა დღეში ათი კილომეტრი მაინც გაირბინოო და აი, დარბიან — ზოგი ცალკე, ზოგი — ჯგუფ-ჯგუფად. არადა, ეს არა მარტო სასარგებლო არ არის, არამედ სახიფათოცაა. გარდა იმისა, რომ შეიძლება დატვირთვას ვერ გაუძლოს გულმა და სისხლძარღვთა სისტემამ, არსებობს ბევრი „ჩვენი“ დაავადებაც. ყოველი ადამიანის ორგანიზმში, თუნდაც ეს ადამიანი პრაქტიკულად ჯანმრთელი იყოს, 40 წლის მერე იწყება შეუქცევადი ცვლილებები — ორგანიზმი ნელ-ნელა ბერდება, იწყება ტკივილები სახსრებში. ავილოთ, მაგალითად, ხერხემალი. მალებს შორის მოთავსებულია დისკოსებური ხრტილოვანი ბალიშები, დროთა განმავლობაში ისინი დეგენერაციას განიცდიან, მათი მთლიანობა ირღვევა, რაც ბევრგვარ დაავადებას იწვევს. ადამიანი ტკივილს გრძნობს, ნევროპათოლოგსაც მიმართავს და მკურნალობს, ვთქვათ, რადიკულიტს. მაგრამ ნერვის დაავადება მეორადი მოვლენაა. პირველადია სწორედ დისკოს გამოვარდნა თავისი ანატომიური ადგილიდან. თუ მას კონსერვატიული მეთოდებით — წყალქვეშა დაჭიმვით, მასაჟებით არ ვუშველეთ, მხოლოდ ნერვის მკურნალობა, ცხადია, შედეგს არ მოგვცემს.

სწორედ ამიტომ, ამ ასაკში სახსრების გადატვირთვა არ შეიძლება. სიარულით იარეთ, რამდენიც გნებავთ, ნელი ან სწრაფი ნაბიჯით, მაგრამ ხელაღებით სირბილს არ გირჩევთ. თუ რბენა აუცილებელია, მხოლოდ ექიმის კონტროლით.

● **ეს გაფრთხილება, რა თქმა უნდა, ეხება იმათ, ვინც უკვე ხანდაზმულობის ასაკში გადაწყვიტა სპორტთან დამეგობრება. ბავშვებზე რას გვეტყვით?**

— ბავშვებისათვის აუცილებელია სპორტში ვარჯიშის დაწყება უკვე ექვსი-შვიდი წლის ასაკიდან. ეს განსაკუთრებით ეხება იმათ, ვისაც რაიმე თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლი აქვს. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ხშირია თანდაყოლილი ამოვარდნილობის, დისპლაზიის, მენჯ-ბარძაყის სახსრის განუვითარებლობის შემთხვევები. მოძრავი თამაშები და სირბილი ასეთი ბავშვებისთვის მავნებელია, ველოსიპედით სიარული კი, პირიქით, ძალიან სასარგებლო ვარჯიშია. ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ ამგვარი ვარჯიშის დაწყებას სიცოცხლის პირველი წლებიდანვე. სპორტი სასარგებლოა სხვა პროფილის ავადმყოფებისთვისაც. პატარა პაციენტს ექიმი დაეხმარება მისთვის უფრო შესაფერისი სახეობის შერჩევაში.

რაც შეეხება ჯანმრთელ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, მათთვის სპორტი აუცილებელია! ექიმებში ცნობილია ასეთი გამოთქმა: „ბიოლოგიური კორსეტი“. ვეცდები აგიხსნათ, რა არის ეს. ავილოთ ასეთი მაგალითი: როცა ხერხემლის გამრუდებისას ავადმყოფს კორსეტის ტარებას ვურჩევთ, ამ კორსეტს ან ქარხანაში ამზადებენ რკინისა და ტყავისგან, ან ჩვენ თვითონ ვამზადებთ — თაბაშირისგან. მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველაზე საიმედოა ჩვენივე კუნთების კორსეტი, სწორედ ის, რასაც „ბიოლოგიურ კორსეტს“ ვუწოდებთ. ეს კორსეტი შეიძლება და უნდა განვუვითაროთ კიდეც ადამიანს ბავშვობიდანვე, რათა მისი ხელოვნური დუბლიკატი არ გახდეს საჭირო.

ყველა სპორტსმენს კარგად განვითარებული ბიოლოგიური კორსეტი აქვს.

● **თანამედროვე სპორტი დღითი დღე რთულდება. ხომ არ იწვევს ეს სპორტული ტრავმების გახშირებას?**

— ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ფეხბურთს მარტო ფოთში თამაშობდნენ, ტრავმების შემთხვევათა საერთო რიცხვში სპორტული ტრავმები მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენდა. ახლა სპორტი ბევრად უფრო პოპულარული და ორგანიზებულია, ტრავმების რაოდენობა კი (5 პროცენტი) უცვლელი დარჩა. ასე რომ, შეიძლება ვილაპარაკოთ სპორტში ტრავმების რაოდენობის შემცირებაზე. რით აიხსნება ეს? ამჟამად ყველა გუნდს ჰყავს ექიმი, რომელიც ყოველ სპორტსმენს სამედიცინო მეთვალყურეობას უწევს. ექიმი არა მარტო ეხმარება სპორტსმენს საჭიროების შემთხვევაში, არამედ დიდ პროფილაქტიკურ მუშაობასაც ეწევა. მაგალითად, ექიმი არ აძლევს სპორტსმენს უფლებას, სარბიელზე მოთელვის გარეშე გამოვიდეს. „ცივი“ კუნთების დატვირთვა ხომ ბევრად უფრო სახიფათოა...

● **...თქვენი აზრით, რა შედის გუნდის ექიმის ფუნქციებში? ჩვენ განზრახული გვაქვს ამ საკითხზე გაზეთის ფურცლებზე საგანგებოდ ვიმსჯელოთ.**

— ერთი რამ ცხადია, ექიმმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ სპორტსმენმა ტრავმა არ მიიღოს. მოულოდნელი ტრავმა ძალიან იშვიათი რამ არის სპორტსმენის ცხოვრებაში. ჩვენი პაციენტები უმეტესად ის ადამიანები ხდებიან, ვინც ექიმის რჩევა-დარიგებებს არ ასრულებს. თუ ექიმი და მწვრთნელი შეთანხმებულად მუშაობენ, მოსალოდნელ ტრავმებს აუცილებლად აცილებენ სპორტსმენს.

მაგრამ, თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევა მაინც მოხდა...

ზოგიერთი ტრავმა არასოდეს ყოფილა დაუძლეველი დაბრკოლება მათთვის, ვისაც მართლა სურს დიდი სპორტსმენი გახდეს. გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი დავით ყიფიანი. იგი ცნობილი ფეხბურთელი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენს კლინიკაში ორივე ფეხზე მენისკის ოპერაცია გაიკეთა. სხვადასხვა დროს ჩვენი პაციენტები იყვნენ შოთა ხინჩაგაშვილი და ვლადიმერ გუცაევი. ახლაც ხშირად ვუწევთ კონსულტაციას და ვმკურნალობთ კიდეც სპორტსმენებს. და, თუკი ვინმეს ჩვენი დახმარება დასჭირდა, ყოველთვის მზად ვართ ვემსახუროთ. თუმცა, ვიმეორებ, არავის ვუსურვებ, ჩვენი პაციენტი გახდეს.

● **სპორტის რომელი სახეობის გულშემატკივარი ბრძანდებით?**

— მე წლების მანძილზე ვცხოვრობდი საქართველოს გარეთ, მაგრამ მუდამ თავგამოდებული გულშემატკივარი ვიყავი ყველა ჩვენი სპორტსმენისა — მოჭადრაკე იქნებოდა, კალათბურთელი, ფეხბურთელი თუ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელი. ეს გაუხუნარი გრძნობაა. მე, მაგალითად, დღესაც უწინდებურად გულმხურვალედ ვუჭერ მხარს ჩემს თანამემამულეებს, სულ ერთია, სპორტის რომელ სახეობაშიც უნდა გამოდიოდნენ. დიდ გამარჯვებებსა და ჯანმრთელობას ვუსურვებ ყველა სპორტსმენს.

ესაუბრა პეპი ბოჭორიშვილი.

მკითხველი — გაზეთი

თბილისელი სტუდენტი დალი ნაკაშიძე გვწერს: **„საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში გაიხსნა ახალი გამაჯანსაღებელი ჯგუფი „რიტმ-რბენა“. რას წარმოადგენს ეს სიახლე“?**

ახალი ჯგუფის შესახებ გვესაუბრება მძლეოსნობის სასახლის დირექტორი **ნუგზარ გეგენავა**:

— ეს სიახლე ჩვენი მწვრთნელების ფანტაზიის ნაყოფია. მათ გადაწყვიტეს შეექმნათ ვარჯიშის ისეთი ახალი კომპლექსი, რომელიც სახალისოც იქნებოდა და მარგებელიც. ასე დაიბადა „რიტმ-რბენა“, რომელშიც თანაბრად არის შერწყმული მუსიკა, რბენა და აერობიკული ვარჯიშები. სხვათა შორის, საცდელმა მეცადინეობებმა ყველას მოწონება დაიმსახურა. ვარჯიში რბენით იწყება. დისტანცია კილომეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. რბენას ტანვარჯიში და აერობიკა მოსდევს. მეცადინეობა რბენით მთავრდება. ყველა მოძრაობა, მათ შორის რბენაც, მუსიკის თანხლებით სრულდება. პროგრამაში უფრო დისკო-მუსიკა ჭარბობს და ამიტომ ვარჯიშებში ამ ცეკვისათვის დამახასიათებელი ელემენტები შევიტანეთ.

ცალკე მინდა ვთქვა, რომ ჩვენთან შეგიძლიათ მთელი ოჯახით მოხვიდეთ სავარჯიშოდ. თუ „რიტმ-რბენა“ არ მოგეწონებათ, სხვა ჯგუფებიც გვაქვს. ასე რომ, შეგიძლიათ ასაკისა და გემოვნების მიხედვით ამოირჩიოთ მეცადინეობის ესა თუ ის ფორმა. მსურველებს შევახსენებთ, რომ „რიტმ-რბენაში“ მეცადინეობა ყოველ კვირას 17 საათზე იწყება.

„ქვეყანაში გაჩაღებულია ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. საზოგადოებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ჩვენ ვახორციელებთ გადამწყვეტ ღონისძიებებს...“

სკკპ XXVII ყრილობის მასალებიდან

ლახტის წრეში

უყურადღებობა

წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, კოჯრელმა ახალგაზრდებმა გამოგვიგზავნეს. იმედია, მათი გულისტკივილი უყურადღებოდ არ დარჩება.

„დაბა კოჯორი, როგორც იცით, მთაგორიან ადგილზეა გაშენებული და აქ სტანდარტული მოედნის მოწყობა ადვილი არაა, თუმცა შეუძლებელი არაფერია. მოედნისთვის გამოსადეგი ადგილები არის, მაგრამ ისინი ან მეურნეობას ან სატყეო ზონას უკავია.

ორი ათეული წლის წინ კოჯრელებს ჰქონდათ მარტივი ტიპის მოედანი, მაგრამ იმ ადგილას სკოლა ააშენეს. იყო მეორე, უფრო მცირე ზომის სარბიელიც, სადაც ბურთის თამაში შეიძლებოდა, მაგრამ იქ სადაბო საბჭოს შენობა ააგეს. ყველაფერი კარგია — სკოლაც, საბჭოს ახალი შენობაც, მაგრამ ერთი სპორტული მოედანი არ უნდა გვქონდეს? კოჯორში ხომ, ადგილობრივ ახალგაზრდებზე რომ არაფერი ვთქვათ, ზამთარ-ზაფხულ უამრავი ადამიანი ისვენებს.

ერთადერთი კოჯრის საშუალო სკოლის მცირე ზომის მოედნის იმედად ვიყავით, იქ ვთამაშობდით ბურთს, ვმართავდით ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელი სოფლების ახალგაზრდებთან, მაგრამ აი, უკვე სამი წელია, რაც მოედანი გადათხრილია. მართალია, იგი გაფართოების და კეთილმოწყობის მიზნით გადათხარეს, მაგრამ გაკეთებაზე რომ აღარავინ ზრუნავს? კოჯრის სადაბო საბჭომ დახმარება აღგვითქვა, მაგრამ ჯერ საქმეს კარგი პირი არ უჩანს.

კოჯორში არის ერთი ძველი სკოლის სპორტული დარბაზი — ასე უწოდებენ ამ საკმაოდ მოზრდილ და არც ისე დაზიანებულ დარბაზს, რომელსაც დიდი ხანია არავინ იყენებს. ჩვენ შეგვიძლია შევაკეთოთ იგი, მაგრამ ვინ გვიშვებს. სხვათა შორის, ისიც არ ვიცით, რომელ ორგანიზაციას ეკუთვნის...“

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„დაგვეხმარეთ!..“

ჩვენი გაზეთის 15 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა მურმან სანგულიას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გულრიფშში სტადიონის შეკეთება ჭიანურდება.

რაიონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა გვაცნობა, რომ „ვ. ი. ლენინის სახელობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის საფეხბურთო მინდორი უვარგისი იყო ექსპლუატაციისთვის და მისი კაპიტალური რემონტისთვის გამოიყო 46 ათასი მანეთი.

ამჟამად მიმდინარეობს შეკეთების სამუშაოები. დღეისთვის ათვისებულია 35 ათასი მანეთი. რემონტი ამა წლის პირველ ნახევარში დამთავრდება და საფეხბურთო მინდორი მწყობრში ჩადგება“.

ბ. ქალდანი,
გულრიფშის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

მახარაძე

აქ გაიმართა სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი რამდენიმე ღონისძიება. საჭიდაო სარბიელზე 162 ჭაბუკი „კლასიკოსი“ გამოვიდა. საინტერესოდ ჩატარდა რაიონის პირველობა ძიუდოში. სპორტის ამ სახეობას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა მახარაძეში. ნაყოფიერად მუშაობს მწვრთნელი გ. დვალიშვილი.

სოფელ მახარაძის საშუალო სკოლაში მოეწყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, მშდ-ს მრავალჭიდში, მძლეოსნურ კროსში, რომელშიც სკოლის პედაგოგებმაც მიიღეს მონაწილეობა.

„ლელოს“ კორ.

სამტრედია

სამტრედიის საჭადრაკო კლუბში გაიმართა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ასუჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობდა.

გუნდურ შეჯიბრებაში ყველას სამტრედიის დაფნის კომბინატის გუნდმა აჯობა.

პირად პირველობაში I ადგილი დაიკავა სამტრედიის დაფნის კომბინატის თანამშრომელმა სულიკო სიხარულიძემ. ქალთა შორის თავი გამოიჩინა ღანირის საბჭოთა მეურნეობის გუნდის წევრმა ირმა ბარამიძემ.

იოსებ ნიკოლეიშვილი.

გორი

აქ გაიმართა რაიონის მოსწავლეთა გუნდური პირველობა ჭადრაკში. ღონისძიება მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას.

10,5 ქულით I ადგილი დაიკავა ხიდისთავის საშუალო სკოლის გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა მეჯვრისხევის საშუალო სკოლის კოლექტივი. III ადგილზე გავიდნენ ხრის საშუალო სკოლის მოსწავლეები (9 ქულა).

ოთარ დოლიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

გურჯაანი

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემ“ ჩაატარა რაისაბჭოს მოშაშეთა პირად-გუნდური პირველობა შაშში. შეჯიბრებაში, რომელშიც თხუთმეტმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა, I ადგილი დაიკავა სოფელ გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა.

პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა თემურ ძინძიბაძემ, გოგონათა შორის — ირმა საქუაშვილმა.

გიორგი სირბილაშვილი,
მუკუზნის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეიტანეთ ვლილებები ლენდარში

სსრ კავშირის 1986 წლის სა-
ბურთო ჩემპიონატში სულ ორი
ურის მატჩები ჩატარდა და გა-
მაშების კალენდარში უკვე
ლილებებია. კალენდარული მა-
ჩების გადატანა გამოიწვია სსრ
შორის ოლიმპიური ნაკრების სა-
ნტროლო შეხვედრამ რუმინე-
ს ნაკრებთან.

ლენინგრადის „ზენიტი“ და ოდე-
ს „ჩერნომორეცი“ 23 მარტის
ცვლად ითამაშებენ 20 მარტს.
იევის „დინამო“ და ბაქოს „ნე-
ჩი“ 24 მარტის ნაცვლად ერთმა-
ს შეხვდებიან 23 მარტს.

ემპიონატის მატჩი

ფეხბურთში მომავალი მსოფ-
ო ჩემპიონატის დამთავრების
მდეგ სტარტს აიღებს სხვა დი-
შეჯიბრება — ევროპის VIII ჩე-
ონატი ფეხბურთში. კონტინენ-
ს ჩემპიონატის შესარჩევი ცი-
ის შეხვედრები დაიწყება აგ-
ტოში და გასტანს 1987 წლის
ლომდე.

საბჭოთა კავშირის ნაკრები III
კვალიფიკაციო ჯგუფში იმყოფე-
საფრანგეთის, გერმანიის დემო-
ატიული რესპუბლიკის, ნორვე-
ისა და ისლანდიის გუნდებთან
თად. ამ ქვეყნების ფედერაცი-
ა წარმომადგენლები ამას წინათ
იკრიბნენ ბერლინში, სადაც მო-
პარაკება ჰქონდათ მომავალ შე-
ბრებათა თაობაზე, შესაბამისად,
დგინდა კალენდარიც.

გთავაზობთ ჩვენი ქვეყნის ნაკ-
ბის შეხვედრათა განრიგს ევრო-
ჩემპიონატზე:

.IX.86. ისლანდია — სსრკ
. X.86. საფრანგეთი — სსრკ
. X.86. სსრკ — ნორვეგია
.IV.87. სსრკ — გდრ
.VI.87. ნორვეგია — სსრკ
.IX.87. სსრკ — საფრანგეთი
. X.87. გდრ — სსრკ
. X.87. სსრკ — ისლანდია.

ევროპის ჩემპიონატის ფინალუ-
ტურნირი 1988 წლის ივნისში
მართება გერმანიის ფედერაცი-
ლი რესპუბლიკის ქალაქებში.

ნიორთა ევროპის ემპიონატი

ევროპის VIII ჩემპიონატის პარა-
ლურად ჩატარდება კონტინენტის
ველობა ახალგაზრდულ გუნდ-
შორის (ფეხბურთელთა ასაკი
21 წლამდე).

შეჯიბრებაში მონაწილეობის სუ-
ლი გამოთქვა ევროპის 30 გუ-
მა, დაკომპლექტდა 8 შესარჩევი
ფი.

I **ჯგუფი.** ესპანეთი, რუმინეთი,
ტრია, ალბანეთი.

II **ჯგუფი.** პორტუგალია, შვეცია,
ეიცარია, იტალია.

III **ჯგუფი.** სსრ კავშირი, საფ-
ნგეთი, გერმანიის დემოკრატიუ-
რესპუბლიკა, ნორვეგია.

V **ჯგუფი.** ინგლისი, იუგოსლავია,
რქეთი.

ჯგუფი. უნგრეთი, პოლონეთი,
ერძნეთი, კიპროსი.

I **ჯგუფი.** დანია, ჩეხოსლოვაკია,
ეთი, ისლანდია.

II **ჯგუფი.** ბელგია, ირლანდია,
ოლანდია.

III **ჯგუფი.** გერმანიის ფედე-
ული რესპუბლიკა, ბულგარე-
ლუქსემბურგი, ჰოლანდია.

უხეირო მზრუნველები

30 იანვარს შედგა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის საბჭოს პლენუმი. იგი შეიკრიბა ისეთ ვითარებაში, როცა სავსებით აშკარაა, რომ ფედერაციის პრეზიდიუმი და საქართველოს ფეხბურთის სამმართველო დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ჩვენს ფეხბურთს. ისინი არ ერევიან ოსტატთა გუნდების ცხოვრებაში, რეზერვის მომზადებაზე ზრუნვად მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთის სკოლებს შორის შეჯიბრებების გამართვა მიაჩნიათ და ასევე ზერელედ, სასხვათაშორისოდ ეკიდებიან მასობრივი ფეხბურთის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი საქმის მართვას. ნაკლოვანებებსა და შეცდომებს კიდევ უფრო აღრმავებს ის, რომ დასახელებულ ორგანიზაციათა მუშაკები უგულისყუროდ ეკიდებიან კრიტიკას, არ შესწევთ უნარი, დაეყრდნონ საზოგადოებრივ აქტივს, იზრუნონ შეცდომების გამოსწორებისათვის.

იყო დრო, სპორტკომიტეტის მუშაკები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სისტემატურ მეთვალყურეობას უწევდნენ რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებში მიმდინარე საწვრთნელ პროცესს და აღმზრდელობით მუშაობას. ახლა ერთი-ორი მუშაკის ნაცვლად სპორტკომიტეტთან ფეხბურთის მთელი სამმართველოა შექმნილი, მაგრამ ფეხბურთელთა გუნდებში წვრთნის მეთოდიკურ მხარეს არავინ ამოწმებს. შემმოწმებელი რომ იყოს კიდეც, ვთქვათ, თბილისის „დინამომდე“ და ქუთაისის „ტორპედომდე“ არ მიუშვებენ, მაგრამ ოსტატთა სხვა გუნდები? I ლიგაზე რომ არაფერი ვთქვათ, II ლიგის ოსტატთა რესპუბლიკურ კლუბებში ხომ მზადების მეთოდური ხელმძღვანელობა მთლიანად საქართველოს საფეხბურთო ორგანიზაციებს ეკისრებათ. სინამდვილეში როგორ არის საქმე? არ არსებობს არავითარი მეთოდიკური კონტროლი, არავითარი კონტაქტი ამ თვალსაზრისით. აღარც მახსოვს, უკანასკნელად, როდის ან ოსტატთა რომელ გუნდში ჩატარდა სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის დოკუმენტური შემოწმება.

თუმცა, არ შეიძლება საკითხი მხოლოდ და მხოლოდ მეთოდიკით შემოვფარგლოთ. რესპუბლიკის საფეხბურთო ორგანიზაციებს უფლება უნდა ჰქონდეთ ახლოს იყვნენ ოსტატთა გუნდების ცხოვრებასთან და პასუხისმგებლობაც ეკისრებოდეთ ამ ცხოვრების ორგანიზებისათვის. მაგრამ აქ მთავარი მარტო უფლების მინიჭება როდია. არანაკლებ მნიშვნელოვანია შეგწევს თუ არა ამ უფლების გამოყენების უნარი.

ჩვენი ფეხბურთის ყველაზე მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხი სელექციაა. თუმცა, რა სელექციაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა დაუბრკოლებლად ისვრიან ბადეს, იქნებ ოქროს თევზიც მოჰყვესო? როცა ახალგაზრდა ფეხბურთელები შეუზღუდავად მოჰყავთ თითქოს იმისთვის, რომ მერე ასევე შეუზღუდავად გარიცხონ გუნდიდან? შერჩევის ასეთი „პრინციპი“, ცოტა არ იყოს, არაპროფესიულია. აბა გაიხსენეთ, ბოლო სამი წლის მანძილზე რამდენი ასეთი ფეხბურთელი „შეარჩია“, სრულიად დაუბრკოლებლად მიიღო და გარიცხა თბილისის „დინამომ“. ჩამოთვლაც გაგიჭირდებათ! მერე, კარგია ეს? რა აუცილებელი იყო, მაგალითად, ასეთი აჩქარება და შარშან შუა სეზონში სამი საუკეთესო ფეხბურთელის წამოყვანა ბათუმის „დინამოდან“? თბილისში მათი ჩამოსვლით არაფერი შეცვლილა, ბათუმში კი საქმე დაზარალდა.

სხვა მაგალითი ავიღოთ. განა სწორი იყო მარტო წლევანდელ სეზონში სოხუმის „დინამოდან“ ერთბაშად ექვსი ფეხბურთელის წამოყვანა — თბილისისა და ქუთაისის გუნდებში? არ შეიძლება მოჭრა ის ტოტი, რომელზეც ზიხარ. არ შეიძლება ასე უდარდელი თამაში ფეხბურთელებისა და მთელი გუნდების ბედით, ეს ყველაფერი კი ნაწილობრივ იმიტომაც ხდება, რომ ფეხბურთის სამმართველო და ფედერაციის პრეზიდიუმი ფეხბურთელთა მიგრაციის მარეგულირებელი ორგანოებიდან მარეგისტრირებელ ორგანოებად იქცნენ.

იქნებ ეს ყველაფერი მხოლოდ ოსტატთა გუნდებთან მუშაობას ეხება? არა, ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანოები დიდ უნარს ვერც რეზერვის მომზადების საქმეში იჩენენ. მთავარი ის როდია, რომ საკავშირო კალენდრით ნაკარნახევი საფეხბურთო სკოლების შეჯიბრებები ჩაატარო, სადაც გუნდური წარმატებები თვითმიზნად არის ქცეული. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე როდია. როცა ამ შეჯიბრებებს ნოემბერში იწყებენ და შემდგომ წლის ცივ თვეებში აგრძელებენ, როგორც ჩანს, უფრო ღონისძიების ფორმალურად ჩატარებით არიან დაინტერესებული, ვიდრე ნამდვილი სპორტული მიზნებით.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ნუთუ ფეხბურთის რეზერვის მომზადების ხელმძღვანელობა მარტო საფეხბურთო სკოლებისა და განყოფილებების შეჯიბრებათა ჩატარებაა? ასე რომ იყოს, ვის უნდა დაევალოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სექციური ფეხბურთის ორგანიზაციაა? გარდა ამისა, თვით ფეხბურთის სკოლებშიც საშინაო ცხოვრებას ხომ მოვლა უნდა. საჭიროა იცოდე, რა ხდება ამ სკოლებში და ამ ცოდნის საფუძველზე სათანადო მუშაობა გაშალო. საკითხავია, მისულა ვინმე ჩვენი ფეხბურთის შტატიანი თუ საზოგადოებრივი მუშაკებიდან საგანგებოდ ამ სკოლებში, რათა მდგომარეობას გასცნობოდა, სასკოლო ცხოვრების ორგანიზაციის წესი შეემოწმებინა, მწვრთნელთა კვალიფიკაცია დაედგინა, სწავლების პროდუქტიულობაში დარწმუნებულიყო? შეუმოწმებია ვინმეს, როგორ მუშაობს სამედიცინო სამსახური და რა როლს ასრულებს იგი სასწავლო-საწვრთნელ პროცესში ან, ვთქვათ, უზრუნველყოფილი არიან თუ არა ეს სკოლები საფეხბურთო მინდვრებით, სხვა სპორტული ნაგებობებით, ინვენტარით, დამხმარე მოწყობილობით? დაინტერესებულა ვინმე, არის თუ არა ჰიგიენური პირობები სკოლებში, ვთქვათ, სასწავლო ოთახებსა და გასახდელებში? დამერწმუნეთ, არა. ჩვენი ფეხბურთის მუშაკები ამ საკითხებს ყურადღებას არ აქცევენ, არადა, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საფეხბურთო სკოლებსა და განყოფილებებს (გამონაკლისია ალბათ მხოლოდ თბილისის დინამოელთა სკოლა) არც მინდვრები აქვთ საკმარისი და შესაფერისი ხარისხისა, არც დამხმარე აღჭურვილობა, არც სპორტული დარბაზები, აუზები თუ ღია მოედნები.

ქუთაისის „ტორპედოს“ სკოლას საწვრთნელ მეცადინეობათა ჩასატარებლად ფართობი საკმარისი აქვს — 4 ჰექტარზე რამდენიმე კარი დგას, მაგრამ მინდვრის საფარი ისეთია, როგორც იტყვიან, ეშმაკიც ფეხს მოიტეხს, აქ კი შეიძლებოდა სამი შესანიშნავი ფეხბურთის მინდორი გაკეთებულიყო. ჰპირდებიან კიდეც ამას, მაგრამ საქმეს არავინ აკეთებს. როდემდე შეიძლება ცდა?

ცხინვალში ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მეტად თავისებურად გადაუხადა მადლობა კარგი მუშაობისთვის საფეხბურთო სკოლას: აიღეს და მისთვის განკუთვნილი ერთი ჰექტარი ფართობი, სადაც ფეხბურთის მინდორი უნდა მოეწყოთ, ჩამოართვეს. აქ ახლა კურორტმშენის მუშაკთა საცხოვრებელი სახლია წამოჭიმული.

რაკი საწვრთნელი მინდვრების უკმარობის პრობლემას შევეხეთ, აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ეს პრობლემა მეტად მწვავედ დგას თვით თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და ბათუმშიც კი, სადაც მასშტაბურად შენდება ახალი საცხოვრებელი მასივები. საზოგადოებრიობა ჩივის იმის გამო, რომ მშენებლები რატომღაც ჯიუტობენ და ამ მასივებში არ აშენებენ სპორტულ ბაზებს, რომელთა მშენებლობაც ნორმირებულია სახმშენის მიერ საბინაო მშენებლობისთვის გათვალისწინებული სახსრებიდან. მაგრამ ფეხბურთის მოყვარულსა და ერთგულ ხალხს ვისთან უნდა ეჩივლა მინდვრების უკმარისობის გამო, როცა მათი ფედერაციის თავმჯდომარე და მშენებლობის მინისტრი ერთი და იგივე პიროვნება იყო? საფეხბურთო მინდვრების მშენებლობა უაღრესად მწვავე პრობლემაა და ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ დაფდაფების ცემას ფეხბურთის განვითარებაში მოპოვებული წარმატებების გამო უნდა ვამჯობინოთ პროზაული ანგარიში მის წინაშე ჩვენი ვალისა და დავალიანების შესახებ.

...თუმცა, დავუბრუნდეთ შეწყვეტილ თემას. პირდაპირ უნდა ითქვას: ჩვენს საფეხბურთო სკოლებში ყველაფერი რიგზე ვერ არის. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხი ის არის, რომ საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელებს ზაფხულის არდადეგებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებთან ერთად ითხოვენ. ესე იგი, სპორტისთვის ყველაზე შესაფერ, ყველაზე ხელსაყრელ დროს მათ მეცადინეობის საშუალება არა აქვთ. სამაგიეროდ, მწვრთნელები (საქართველოს თვით ყველაზე ცივ რაიონებშიც კი) ჟურნალებში გულმოდგინედ აღნუსხავენ დეკემბერში, იანვარში, თებერვალში — თოვლსა და ყინვაში — ვითომდა ღია ცის ქვეშ ტექნიკის განვითარებისთვის ჩატარებულ „ინტენსიურ“ ვარჯიშებს. რა ქნან, ამ ჩანაწერების გარეშე ხელფასს ვერ მიიღებენ. ჰოდა, ხელფასს იღებენ, ფეხბურთელები კი არ იზრდებიან.

ერთი მაგალითი მეთოდიკის სფეროდანაც. ფეხბურთის სწავლების ახალი პროგრამები აგებულია დატვირთვის ციკლურ, ცვალებად რეჟიმზე, როცა ცალკეულ მეცადინეობათა ხანგრძლივობა 1-4 აკადემიური საათის ფარგლებში მერყეობს. ჩვენი სკოლებისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ჩამორჩებიან ფეხბურთელთა ფიზიკური და ფუნქციური მომზადების მხრივ. დიდი დატვირთვით მეცადინეობის შემოღება ხელს შეუწყობს ამ ხარვეზის შევსებას. მაგრამ ჩვენი სკოლები და განყოფილებები, უმეტეს შემთხვევაში ისევ ძველებურად მუშაობენ და ორსაათიან გაკვეთილს არ ღალატობენ.

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, ოღონდ ორგანიზაციული მუშაობის სფეროდან. თბილისში გააუქმეს განათლების სამინისტროს ფეხბურთის ოლიმპიური რეზერვის სკოლა. მართლაც ძნელი გასაგებია, ვის უშლიდა ხელს ეს ცნობილი სასწავლებელი, რომელმაც ბევრი ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელი აღზარდა. ამ სკოლის ჯგუფები მთელ ქალაქში იყო მიმოფანტული და ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ემსახურებოდა. ახლა ეს ჯგუფები ახალმონათლულ 35-ე ათწლიან სკოლას შეუერთეს. რეზერვის მომზადებაში მთავარი როლი ყველგან სპორტულ სკოლებს ეკისრებათ. აღებულია გეზი მათი ქსელის გაფართოებისაკენ, ჩვენთან კი ასეთი მნიშვნელოვანი სპორტული კერა დახურეს. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია თუნდაც იმიტომ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ოლიმპიური რეზერვის სკოლად ვერ აქცევ. საერთოდაც, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელიც სხვა, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებსაც აერთიანებს, აშკარა ნონსენსია, რაც, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს როგორც აკადემიურ, ისე სპორტულ სწავლებაზე.

მაშ ასე, ჩვენ უკვე შევეხეთ ხელმძღვანელობის არასაკმარის დონეს ოსტატთა გუნდებისა და რეზერვის მომზადების დარგში. რესპუბლიკის საფეხბურთო ორგანიზაციების მუშაობაში რჩება კიდევ ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი უბანი — მასობრივი ფეხბურთი. სირთულე აქ იმაშია, რომ ეს მუშაობა რესპუბლიკის ყველა კუთხეში უნდა ტარდებოდეს და ყველგან — სხვადასხვა სახით და მასშტაბურად. აქ უმთავრესი მნიშვნელობა ორგანიზაციულ მუშაობას ენიჭება. მასობრივ ფეხბურთში წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ მის მართვაში საზოგადოებრიობას არ ჩააბამ. ამ მხრივ კი ბოლო წლებში წინსვლის მაგიერ აშკარად უკან ვიხევთ.

ფეხბურთის სამმართველოს აპარატი თანდათან იზრდებოდა და პარალელურად მტკიცდებოდა მცდარი რწმენა, რომ საზოგადოებრივი სახელმძღვანელო ორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ პროფორმაა, რომ საქმეს სჭირდება არა ეს თვითმოქმედი ორგანიზაცია, არამედ მისი ცალკეული წევრები, როგორც ფეხბურთის სამმართველოს ხელქვეითები. ფედერაციამ და მისმა ორგანოებმა უფლებები თანდათან დაკარგეს, თვითმმართველობის ტრადიციები გაქრა, საზოგადოებრივი აქტივი ნელ-ნელა დაიფანტა. პრეზიდიუმსა და მის ორგანოებში მუშაობას თანდათან ჩამოშორდნენ ვ. რამიშვილი, კ. მესხი, გ. გაგუა, ი. ლობჟანიძე, ა. პაიჭაძე, ბ. თავართქილაძე, შ. მერკვილაძე, ო. ჯებაშვილი და სხვები. ცვლა კი არ ჩანს. თავისი აქტივი ჰყავდა ერთ დროს ინტენსიურად მომუშავე თბილისის ფედერაციასაც, რომელიც ახლა ფაქტობრივად დაიშალა.

იქნებ ფედერაციები მართლაც არ არის საჭირო? იქნებ მართლაც უფრო მოსახერხებელია, რომ ეს ფედერაციებიცა და მათი პრეზიდიუმიც მხოლოდ ფორმალურად არსებობდეს (რაკი ეს აუცილებელია), ფაქტობრივად კი მუშაობა მთლიანად ფეხბურთის სამმართველოს დაევალოს? კარგი, მაგრამ ვის დავავალოთ მაშინ მუშაობის წარმართვა ადგილებზე, სადაც, როგორც ცნობილია, სამმართველოს აპარატის მუშაკები არა ჰყავს? თუ სამმართველო სათანადოდ ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მით უმეტეს პერიფერიაში, ეს იმითაც აიხსნება, რომ ფედერაცია მოიკოჭლებს, მის გარეშე კი შეუძლებელია მასობრივი ფეხბურთის განვითარების ამოცანათა დაძლევა. ასე რომ, ბუნებრივია, ყოველივე იმისთვის, რაც ხდება, პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრებათ ფეხბურთის სამმართველოსაც და ფედერაციის ხელმძღვანელობასაც. მაინც რა ხდება? ვფიქრობთ, იმის დაწვრილებით ჩამოთვლა, რაც ცუდად კეთდება, ანდა სულაც არ კეთდება, ძალიან შორს წაგვიყვანს. შევეცდებით მხოლოდ ზოგ რამეს შევეხოთ.

დავიწყოთ იმით, რომ თითქმის ყველგან საფეხბურთო მინდვრები, შეიძლება ითქვას, გაპარტახებულია; არ გააჩნიათ დამხმარე მოწყობილობა; გასახდელები და მსაჯთა ოთახები მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს; ტრიბუნები შესაკეთებელია; უგულებელყოფილია თვალსაჩინო აგიტაცია. და ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ ბოლო წლებში ჩემპიონატების დაწყების წინ მინდვრებს არ იბარებენ შესაბამისი კომისიები, რაც სავალდებულოა.

ვლადიმერ მდივანი.

(დასასრული იქნება).

ეხბურთი

ეონი და ირაპუატო

ონი და მის მეზობლად მდე-
ო პატარა ქალაქი ირაპუატო
სიკის ფეხბურთელთა მსოფლიო
ონატის მესამე ჯგუფის გუნ-
ს—საბჭოთა კავშირს, უნგრეთს,
რანგეთსა და კანადას უმასპი-
ებენ.
ენჭისყრის შემდეგ ადგილობრივ

საორგანიზაციო კომიტეტს, რომელსაც ამ კომიტეტის მდივანი ხესუს რომო ხელმძღვანელობს, არც დღისით და არც ღამით არ დაუსვენია. გადასაწყვეტია და მოსაგვარებელი ბევრი საკითხი, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტი პირველ რიგში იმ შენიშვნებზე ამახვილებს ყურადღებას, რაზეც მას საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ მიუთითა, კერძოდ, უკვე კეთილმოეწყო ირაპუატოს სტადიონის მისადგომები, გაშენდა სკვერი, დაიგო ასფალტი, დაიდგა სპეციალური ჯიხურები სუვენირების გასაყიდად.

ხესუს რომო ზოგჯერ შტატის სიმცირეს უჩივის, მაგრამ მას იმით ამშვიდებენ, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე მისი შტაბი 80-დან 130 კაცამდე გაიზრდება.

ლეონში, მექსიკის ამ ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში მილიონ 200 ათასი კაცი ცხოვრობს. ქალაქი განთქმულია ტყავის ნაწარმით, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იგზავნება. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ლეონში ფეხბურთის ყველაზე ფანატიკური გულშემატკივრები ცხოვრობენ.

ხესუს რომოს ბილეთების გასაღება სულაც არ აღარდებს. პირიქით, ჩემპიონატის დღეებში ბილეთების გარკვეული დეფიციტიც კი შეიძლება გაჩნდეს. საქმე ისაა, რომ უცხოელ ტურისტთა განაცხადების რაოდენობა დღითიდღე კატასტროფულად მატულობს.

პირველი შთაბეჭდილებები

(დასასრული)

ვენებს, რომ თამაშის ბედი უფრო ხშირად 40-50 სვლებს შორის წყდება. ახალი რეგლამენტით მოჭადრაკეებმა დროის ორი კონტროლი (მე-40 და მე-60 სვლაზე) უნდა გადალახონ, რაც, რა თქმა უნდა, ამძაფრებს ბრძოლას, პასუხისმგებლობას მატებს მოჭადრაკეებს.

თუ ვინ გამოიჩინა თავი პირველ სამ ტურში, ეს ზემომოყვანილი შედეგებიდანაც ჩანს. გაგიზიარებთ ჩვენს პირველ შთაბეჭდილებებს.

ჩემპიონატს ერთგვარ ლაზათს მატებს ნანა იოსელიანისა და ელიზბარ უბილავას მონაწილეობა. უბილავასთან შეხვედრა ყველასთვის სასარგებლოა. თბილისელი საერთაშორისო ოსტატი თეორიის ღრმა მცოდნეა (ამას წინათ თვით მსოფლიოს ექსჩემპიონმა ა. კარპოვმა მიიწვია იგი კონსულტანტად) და მასთან „გამოცდის" ჩაბარება ძნელია. მაგალითად, ჩიქოვანი მას ოცდახუთ სვლაში დანებდა თეთრებით, რადგან სიცილიური დაცვა სუსტად გაითამაშა.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ახალგაზრდა ოსტატები გია გიორგაძე და იგორ ეფიმოვი. უმძაფრესი იყო მათი შეხვედრა III ტურში. დარბაზი პარტიის ბოლომდე სულგანაბული ადევნებდა თვალს მათ თამაშს.

ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატებიდან ყურადღებას იქცევენ ლაშა ჯანჯღავა და გოჩა თორია. ჯანჯღავამ კარგი სტილით მოუგო იოსელიანსა და სუპატაშვილს, ეფიმოვთანაც მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ დროს გადააცილა. იგი სუპატაშვილთანაც ცაიტნოტში იყო. ჩანს, ახალგაზრდა მოჭადრაკე აქედანვე უნდა მიეჩვიოს მოსაფიქრებელი დროის სწორ განაწილებას. თორია აუჩქარებლად, დინჯად თამაშობს, ცდილობს ღრმად ჩაწვდეს პოზიციის საიდუმლოებას და ყველაზე ლოგიკური გაგრძელება მონახოს. ამაში გვარწმუნებს მისი სამივე პარტია.

დანარჩენი მოჭადრაკეებიც ჩინებულად იბრძვიან, მაგრამ, როგორც იტყვიან, ნუ ავჩქარდებით, ჯერ ყველაფერი წინაა.

დღეს, 15 მარტს IV ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: ჯანჯღავა — გიორგაძე, ტყებუჩავა — ეფიმოვი, უბილავა — ჩაჩიბაია, ჭიპაშვილი — ჩიქოვანი, ბოკუჩავა — ბაღათუროვი, იოსელიანი — კრასენკოვი, სუპატაშვილი — თორია.

თენგიზ გიორგაძე,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

სურათზე: გოჩა თორიასა და ნანა იოსელიანის შეხვედრა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„მერანი" №5

1986
მერანი
სკკპ XXVII ყრილობა
პრეტენდენტი

გამოვიდა გაზეთ „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" მე-5 ნომერი.

გაზეთში დაბეჭდილია ცნობა სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის დამთავრების შესახებ.

მკითხველი გაეცნობა შვეციაში გამართული პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის შედეგების ცხრილს და ინტერვიუს ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ბიჭვინთელ დიდოსტატ ელენა ახმილოვსკაიასთან.

გაზეთი გამცნობთ, რომ მსოფლიო ჩემპიონები მაია ჩიბურდანიძე და გარი კასპაროვი 1985 წლის „ჭადრაკის ოსკარით" დაჯილდოვდნენ. აქვეა დაბეჭდილი ცნობილი მხატვრის შოთა შანიძის მეგობრული შარჟი.

„მერანი" 8 მარტს ულოცავს მოჭადრაკე და ჭადრაკის მოყვარულ ქალებს და ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ბეჭდავს ჟურნალისტ ნანა ჯოხარიძის საუბარს საქართველოს დიდოსტატებისა და საერთაშორისო ოსტატების მეუღლეებთან.

თბილისის პედინსტიტუტის დოცენტი მერაბ თხელიძე წერილში „კომპიუტერი — ჭადრაკის მასწავლებელი" მოგითხრობთ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაზე.

ნომერში დაბეჭდილია მსოფლიოს დიდოსტატი ქალების სრული სია. საყურადღებო მასალებს გვთავაზობს რუბრიკები: „ძველი ამბების სკივრი", „ოლიმპიადების ისტორიიდან", „კომპოზიცია", „უცხოური პრესის ფურცლებზე", „ეს საინტერესოა".

ბუქარესტში, მოსკოვში...

რუმინეთის დედაქალაქში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი გოგონათა შორის. ბრძოლაში მონაწილეობს თერთმეტი ქვეყნის წარმომადგენელი 14 მოჭადრაკე.

წარმატებით აიღეს სტარტი საბჭოთა ოსტატმა სვეტლანა მატვეევამ (ფრუნზე) და ბულგარელმა ვერა პეიჩევამ (ეს მოჭადრაკე თბილისში ემზადებოდა ამ ჩემპიონატისათვის). თითოეულმა ორი პარტია მოიგო. მატვეევამ დაამარცხა პეტრა პოლაკოვა (ჩეხოსლოვაკია) და ინეს აბრაჰამი (შვეიცარია).

მოსკოვის საოლქო საჭადრაკო კლუბში ერთდროულად ორი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი მიმდინარეობს.

პირველ ჯგუფში ლიდერობს დიდოსტატი ოლეგ რომანიშინი — 6-დან 4,5 ქულა. 3,5-3,5 ქულა აქვთ დიდოსტატებს ეფიმ გელერს, იური რაზუვაევს (ორივე — მოსკოვი); ლევ ფსახისს (კრასნოიარსკი) და ვენცისლავ ინკიევს (ბულგარეთი).

მეორე ჯგუფში დაწინაურდნენ მოსკოვის ჩემპიონი, ოსტატი ალექსეი კუზმინი და საერთაშორისო ოსტატი ედვინ კენგისი (რიგა). ისინი ნახევარი ქულით უსწრებენ დიდოსტატებს ევგენი ვასიუკოვს, სერგეი მაკარიჩევს, ვალერი ჩეხოვს (ყველა — მოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილს.

ყველა ფინალისტი ცნობილია

დამთავრდა საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა პირველობის ზონალური ტურნირები.

საგარეჯოს ზონაში გაიმარჯვა გურჯაანის გუნდმა, თერჯოლის ზონაში — ცხაკაიის, სამტრედიის ზონაში — სამტრედიის, ხოლო ცხინვალის ზონაში — ახალციხის რაიონის გუნდმა. თითოეულ გუნდში 4 ჭაბუკი და ერთი გოგონა თამაშობს.

სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები 30 მარტს ცხინვალში დაიწყება. ზონებში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად ფინალში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, გორის, ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, ტყიბულის, ზუგდიდის, წყალტუბოსა და მარნეულის მოჭადრაკეები.

ლეილა მესხი — ნახევარფინალში

12 მარტს მოსკოვში, „დრუჟბის" უნივერსალურ სპორტულ დარბაზში დაიწყო ჩოგბურთელთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი დახურულ შენობებში. ასპარეზობაში, რომელსაც წინ უძღოდა შესარჩევი შეჯიბრება, 16 ვაჟი და ამდენივე ქალი მონაწილეობს. ქართველ სპორტსმენთაგან ტურნირში გამოდის 18 წლის თბილისელი სტუდენტი ლეილა მესხი.

ლეილამ წარმატებით აიღო სტარტი: პირველ წრეში მან ერევნელი ოვსეპიანი დაამარცხა (7:6, 6:1), მეორეში კი დამაჯერებლად მოუგო შეჯიბრებაში პირველ ნომრად განთესილ ჩოგბურთელს, ევროპის ექს-ჩემპიონს ელენა ელისეენკოს (დონეცკი) — 6:3, 6:3. ამ გამარჯვებამ ლეილა ნახევარფინალში გაიყვანა.

ბრაზილიელთა მარცხი

12 მარტს დასავლეთ გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, რომელსაც ასე მოელოდნენ სპორტის მოყვარულები. ამ დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდები, ორივე ეს კოლექტივი კი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ოქროს მედლების კანდიდატები არიან, თუმცა, როგორც დასავლეთგერმანელებს ისე, ბრაზილიელებს ჯერ კიდევ საკმაოდ აქვთ გადაუჭრელი პრობლემები.

უპირველესი, რასაც მიმომხილველები აღნიშნავენ, ისაა, რომ დიდი სპორტული დაძაბულობის გარდა, თამაში უხეშობითაც აღინიშნა, იტალიელი არბიტრი ანიოლინი ხშირად აჩერებდა თამაშს, აფრთხილებდა ფეხბურთელებს, შემდეგ კი იძულებული შეიქნა წესრიგის დარღვევისთვის სათადარიგოთა სკამიდან გაეძევებინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მეორე მწვრთნელი ა. კეპელი.

მსაჯის პირველი სასტვენიდან სულ წუთნახევარი იყო გასული, როცა მასპინძლებმა მარცხენა ფლანგიდან კუთხური მოაწოდეს და ბრიგელმა წამით დაასწრო ბრაზილიელთა მეკარე კარლოსს — 1:0. უკვე მატჩის დასასრულს კი ბრაზილიელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა ალოფსმა — 2:0.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ტელე სანტანამ აღნიშნა, დასავლეთგერმანელ ფეხბურთელთა დამსახურებული გამარჯვება, თუმცა, მის გუნდსაც რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდა წარმატებისთვის მიეღწია. აქ ყველაფერი გადაწყვიტა ბრიგელის მიერ მატჩის დასაწყისშივე გატანილმა გოლმა. ბრაზილიელთა მწვრთნელმა ხაზი იმასაც გაუსვა, რომ ბრაზილიელთა თამაშს დიდად დაეტყო ზიკოსი და ლეანდროს არყოფნა, გარდა ამისა, იტალიის პროფესიულმა კლუბებმა ამ მატჩისთვის არ გაათავისუფლეს ჟუნიორი, სერეზო, ედინიო და დირსეუ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელი ფ. ბეკენბაუერი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა თამაშის შედეგით. ისევე როგორც იტალიელებთან ამასწინანდელ მატჩში (2:1), მისი გუნდის ფეხბურთელები ბევრს და ეფექტურად მოძრაობდნენ, სწრაფად გადადიოდნენ თავდაცვიდან შეტევაზე, კარგად იყენებდნენ მეტოქის კართან შექმნილ მომენტებს. სხვათა შორის, მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბრაზილიის ნაკრებმა გუნდებმა ერთმანეთთან 13-ჯერ ითამაშეს და დასავლეთგერმანელებმა მხოლოდ მეორედ მიაღწიეს წარმატებას.

საყურადღებოა მეტოქეთა შემადგენლობანი: **გფრ** — შუმახერი, ბრემე, იაკობსი (ბუხვალდი, 46), ჰერგეტი, ბრიგელი, მატეუსი, როლფი, მაგატი, ტონი, მილი (გრუნდელი, 79), რუმენიგე (კ. ალოფსი, 46); **ბრაზილია** — კარლოსი, ედსონი, მოზელი, ოსკარი, დიდა, მილერი (მარინიო, 74), ფალკაო, სოკრატესი, კასაგრანდე, კარეკა, სიდნეი (ედერი, 46).

ბრაზილიელი ფეხბურთელები თავიანთ მეორე მატჩს 16 მარტს გამართავენ ბუდაპეშტში უნგრეთის ნაკრებთან. საკავშირო ტელევიზია ამ თამაშის რეპორტაჟს გადასცემს 18 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით.

რეკორდები, რეკორდები, რეკორდები

ძალოსნობაში ყველა ოფიციალურად რეგისტრირებული მსოფლიო რეკორდი ბოლო სამ წელიწადშია დამყარებული. 1983 წელს რეკორდების ცხრილში ექვსი შესწორება იქნა შეტანილი, 1984 წელს — თვრამეტი, 1985 წელს კი ისევ ექვსი.

რეკორდების ცხრილში ყველაზე სრულად სსრ კავშირი და ბულგარეთი არიან წარმოდგენილი. საბჭოთა სპორტსმენებს 17 უმაღლესი მიღწევა ეკუთვნით. ბულგარელებს — 12. ოცდამეათე რეკორდი გდრ-ის წარმომადგენელმა ა. ბემმა 1984 წელს დაამყარა (მსუბუქი წონა, ორჭიდი).

1986 წლის 1 იანვრისთვის რეკორდების ცხრილი ასე გამოიყურება:

უმჩატესი წონა (52 კგ). ატაცი — ნ. ტერზიისკი (ბულგარეთი) — 115,5 კგ. 1983; აკვრა — ნ. ტერზიისკი (ბულგარეთი) — 152,5 კგ. 1984 წ; ორჭიდი — ნ. ტერზიისკი (ბულგარეთი) — 262,5 კგ. 1984 წ.

მჩატე წონა. (56 კგ). ატაცი — ო. მირზოიანი (სსრ კავშირი) — 133,0 კგ. 1984 წ; აკვრა — ნ. შალამანოვი (ბულგარეთი) — 170,5 კგ. 1985 წ; ორჭიდი — ნ. შალამანოვი (ბულგარეთი) — 300,0 კგ. 1985 წ.

ქვემსუბუქი წონა (60 კგ). ატაცი — ნ. შალამანოვი (ბულგარეთი) — 145,0 კგ. 1985 წ; აკვრა — ნ. შალამანოვი (ბულგარეთი) — 186,0 კგ. 1985 წ; ორჭიდი — ნ. შალამანოვი (ბულგარეთი) — 330,0 კგ. 1985 წ.

მსუბუქი წონა (67,5 კგ). ატაცი — ვ. გრაჩოვი (სსრ კავშირი) — 155,5 კგ. 1984 წ; აკვრა — ა. ვირბანოვი (ბულგარეთი) — 200,0 კგ. 1984 წ; ორჭიდი — ა. ბემი (გდრ) — 352,5 კგ. 1984 წ.

ქვესაშუალო წონა (75 კგ). ატაცი — ვ. კუზნეცოვი (სსრ კავშირი) — 167,5 კგ, 1983 წ; აკვრა — ა. ვირბანოვი (ბულგარეთი) — 212,0 კგ. 1985 წ; ორჭიდი — ე. სტოიჩკოვი (ბულგარეთი) — 377,5 კგ. 1984 წ.

საშუალო წონა (82,5 კგ). ატაცი — ი. ვარდანიანი (სსრ კავშირი) — 182,5 კგ. 1984 წ; აკვრა — ი. ვარდანიანი (სსრ კავშირი) — 224,0 კგ. 1984 წ; ორჭიდი — ი. ვარდანიანი (სსრ კავშირი) — 405,0 კგ. 1984 წ.

პირველი ქვემძიმე წონა (90 კგ). ატაცი — ბ. ბლაგოევი (ბულგარეთი) — 195,5 კგ. 1983 წ; აკვრა — ვ. სოლოდოვი (სსრ კავშირი) — 233,0 კგ. 1984 წ. ორჭიდი — ვ. სოლოდოვი (სსრ კავშირი) — 422,5 კგ.

მეორე ქვემძიმე წონა (100 კგ). ატაცი — ი. ზახარევიჩი (სსრ კავშირი) — 200,0 კგ. 1983 წ; აკვრა — პ. კუზნეცოვი (სსრ კავშირი) — 241,5 კგ. 1984 წ; ორჭიდი ი. ზახარევიჩი (სსრ კავშირი) — 440,0 კგ. 1983 წ.

პირველი მძიმე წონა (100 კგ). ატაცი — ი. ზახარევიჩი (სსრ კავშირი) — 200,5 კგ. 1984 წ; აკვრა — ჰ. კლოკოვი (სსრ კავშირი) — 247,5 კგ. 1983 წ; ორჭიდი — ლ. ტარანენკო (სსრ კავშირი) — 442,5 კგ, 1984 წ.

მეორე მძიმე წონა (110 კგ ზემოთ). ატაცი — ა. გუნიაშევი (სსრ კავშირი) — 211,0 კგ. 1984 წ; აკვრა — ა. პისარენკო (სსრ კავშირი) — 265,0 კგ. 1984 წ; ორჭიდი — ა. გუნიაშევი (სსრ კავშირი) — 465,0 კგ. 1984 წ.

როგორც ხედავთ რეკორდების ცხრილში ყველაზე ხშირად ბულგარელი ნ. შალამანოვის გვარია მოხსენებული. ხუთივე მსოფლიო რეკორდი (მჩატე და ქვემსუბუქ წონებში) მას 1985 წელს აქვს დამყარებული.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი: 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 ეე 00369